

საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობის სხდომა

2021 წლის 29 ნოემბერი | სასტუმრო „თბილისი მარიოტი“, მირიან მეფის დარბაზი

ოქმი

ესწრებოდნენ:

გამგეობის წევრები:

- ალექსანდრე ხვედელიძე (დაბადებული 21.10.1965 წ., პირადი №01014002287)
- გივი ჭიჭინაძე (დაბადებული 02.07.1959; პირადი №01009002077)
- დავით კაჭარავა (დაბადებული 06.09.1975 წ.; პირადი №01035000140)
- ზვიად თავართქილაძე (დაბადებული 06.09.1975; პირადი №01029001924)
- გრიგოლ ქერაშვილი (დაბადებული 16.03.1956 წ.; პირადი №35001058678)
- მერაბ ანთაძე (დაბადებული 04.08.1952 წ., პირადი № 01005001907)
- იოსებ ტყემალაძე (დაბადებული 25.12.1976 წ., პირადი № 01024009582)
- კობა გიორგაძე (დაბადებული 26.10.1979 წ.; პირადი № 60001009009)
- მამუკა გორგოძე (დაბადებული 14.07.1984 წ., პირადი № 01031003677)
- გელა ქობულაძე (დაბადებული 30.04.1986; პირადი №61006019618)

სხდომის მომწვევი: დავით კაჭარავა, სრკ-ს გამგეობის თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარე: დავით კაჭარავა

სხდომის მდივანი: ნატალია კურტანიძე

სხდომაზე დამსწრე სხვა პირები: სრკ-ს ვიცე-პრეზიდენტები ლაშა ხურციძე, ნიკოლოზ ალავიძე და თორნიკე გოგებაშვილი, იურისტი ედუარდ ნაჭყებია, ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ლევან მაისაშვილი.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგში შევამალი შემდეგი საკითხები:

1. კლუბ „ქართველი ბარბაროსების“ წარდგენა (იხ. დანართი);
2. მსოფლიო რაგბი 12-ის პროექტის წარდგენა;
3. დიდი 10-ის თამაშებზე ბილეთების გაყიდვის საკითხი (გ. ქერაშვილი);
4. ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ლევან მაისაშვილის პრეზენტაცია

სხდომამ გადაწყვიტა:

1. პირველ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა კლუბ „ქართველი ბარბაროსების“ წარდგენას, სრკ-ს ვიცე-პრეზიდენტმა ლაშა ხურციძემ წარუდგინა გამგეობის წევრებს „ქართველი ბარბაროსების“ მიერ მომზადებული პრეზენტაცია და მოახსენა კლუბის მიზნების და საჭიროებების შესახებ. მსჯელობის შედეგად, გამგეობის წევრებმა მოიწონეს ქართველი ვეტერანი მორაგბეების ინიციატივა,

კლუბის მისია, რომელიც ემსახურება სარაგბო ფასეულობების პოპულარიზაციას, თუმცა დაისვა კითხვა რამდენად სწორი იქნება ამ ფორმატის საბავშვო გუნდის გაკეთება (რაც კლუბის ერთერთ საინტერესო პროექტად მიაჩნია), ვინაიდან ეს რადიკალურად ეწინააღმდეგება ბარბაროსთა ფასეულობებს. მიუხედავად ზემოთქმულისა, გამგეობის წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს მხარი დაუჭირონ „ქართველ ბარბაროსებს“ და შეძლებისდაგვარად ხელი შეუწყონ მის საქმიანობას საორგანიზაციო რესურსების გამოყოფით (სავარჯიშო/სათამაშო მოედანი და ა.შ.).

- 2. მეორე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა მსოფლიო რაგბი 12-ის პროექტის გაცნობას, გამგეობის წევრებმა მოისმინეს ვიცე-პრეზიდენტის ლაშა ხურციძის პრეზენტაცია, რომელიც ეხებოდა მსოფლიოს წამყვანი სარაგბო მოღვაწეების ინიციატივას მოაწყონ კომერციული ტურნირი რაგბის მოდიფიცირებულ სახეობაში - რაგბი 12-ში, სავარაუდოდ - 2022 წლის აგვისტოში. პროექტში მონაწილეობა საინტერესოა როგორც მოთამაშეების დამატებითი მაღალი დონის საერთაშორისო გამოცდილებით უზრუნველყოფის, ისე ფულადი მოგების კუთხით. ამასთანავე, გასათვალისწინებელია მსოფლიო რაგბის ფრთხილი პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით, ასევე, დასაზუსტებელია პროექტში I დონის ქვეყნების ჩართულობის საკითხი. უფრო ზუსტი ინფორმაციის მიღება მოსალოდნელია 2022 წლის იანვარში, გამგეობამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ერთხმად დაადგინა, რომ 2022 წლის იანვარში - მსოფლიო რაგბის წარმომადგენლებთან კონსულტაციების შედეგად, გამგეობა მიიღებს გადაწყვეტილებას პროექტში მონაწილეობის თაობაზე.**
- 3. მესამე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა დიდი 10-ის თამაშებზე ბილეთების გაყიდვის შესაძლებლობას, გამგეობის წევრმა გრიგოლ ქერაშვილმა მოახსენა დამსწრეებს, რომ კლუბები მომწიფებულები არიან საკუთარ თამაშებზე ბილეთების გასაყიდად, რაც, სწორად დაგეგმვის შემთხვევაში, მოუტანს მათ დამატებით მოგებას და დაეხმარება არსებითი საჭიროებების დაკმაყოფილებაში. გამგეობის წევრები მიესალმნენ ამ შესაძლებლობას და ერთხმად მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება: საორგანიზაციო და საგადასახადო საკითხების დაზუსტებისა და ასოციაცია „ატუსთან“ კონსულტაციის შემდეგ, დიდი 10-ის კლუბებს მიეცეთ საშუალება ინდივიდუალურად მოახდინონ საკუთარ სამინაო მატჩებზე დასასწრეები ბილეთების გაყიდვის ორგანიზება.**
- 4. მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის დანიშნვას და სამწვრთნელო შტაბის წარდგენას, გამგეობის წევრებმა მოისმინეს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პრეზენტაცია ნაკრების სამწვრთნელო-სამედიცინო-მენეჯერული შტაბის შემადგენლობის, ნაკრებში მორაგბეების შერჩევის და მათთან მუშაობის პრინციპების, და უახლოესი პერიოდის კალენდრის თაობაზე.**

პრეზენტაციის ფარგლებში, ლევან მაისაშვილმა დეტალურად აღწერა სამწვრთნელო შტაბის თითოეული წევრის ფუნქციები და შტაბის სხვა წევრებთან ურთიერთმიმართებები, ისაუბრა მწვრთნელთა ძლიერ და სუსტ მხარეებზე და აღინიშნა გადაუდებელი საჭიროებები ადამიანური რესურსების კუთხით.

დამსწრეთა აზრით, მოცემულ პირობებში არაეფექტური იქნება ეროვნული ნაკრების და ფრანჩიზის სამწვრთნელო შტაბის გაყოფა, ვინაიდან საერთაშორისო პოტენციალის მქონე მოთამაშეებთან ინტენსიურად მუშაობის ეს რესურსი ამ ეტაპზე (2023 წლის დასრულებამდე მაინც) უალტერნატივოა.

წარმოდგენილ იქნა ეროვნული ნაკრების და ფრანჩიზის 2022 წლის მიზნები:

- რაგბი ევროპის ჩემპიონატის ხუთივე თამაშის მოგება;
- ზაფხულის და შემოდგომის ტესტ-მატჩებზე ერთი Tier 1 ტესტ-მატჩის და, სავარაუდოდ, სამი Tier 2 მატჩის მოგების მცდელობა;
- Currie Cup-ში მონაწილეობა;
- რაგბი ევროპის სუპერთასის ფინალში გასვლა.

გაჟღერდა თხოვნა სასწრაფოდ (შეძლებისდაგვარად - მომდევნო სეზონის დაწყებამდე) შევარდენის სანაკრებო ბაზის რეაბილიტაციის თაობაზე.

ადგილობრივი სპეციალისტების მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფის მიზნით, ლევან მაისაშვილს დაევალა ეროვნული ნაკრების / ფრანჩიზის საქმიანობაში პერსპექტიული ახალგაზრდა მწვრთნელების ჩართვა (მაგ. სტაჟირებების ფორმით), რომლებსაც აქვთ პროფესიული განვითარების და სამომავლოდ მაღალი მიღწევების სივრცეში დასაქმების პოტენციალი. ლევან მაისაშვილს დაევალა ასეთი მწვრთნელების სიის შედგენა.

მსჯელობის შედეგად, გამგეობის წევრებმა ერთხმად (9 ხმით - ზვიად თავართქილაძემ გადაუდებელი აუცილებლობის გამო დატოვა სხდომა) დაამტკიცეს საქართველოს ეროვნული ნაკრების / ფრანჩიზა „შავი ლომის“ მთავარი მწვრთნელი და მის მიერ წარმოდგენილი სამწვრთნელო შტაბი შემდეგი შემადგენლობით:

მწვრთნელები

მთავარი მწვრთნელი
შერკინების მწვრთნელი
შეტვის / ხაზის მწვრთნელი

ლევან მაისაშვილი
ილია მაისურაძე
კორი ბრაუნი

ფიზ.მომზადების / სპორტის თეორიის ჯგუფი

ფიზ.მომზადების მთავარი მწვრთნელი
ფიზ.მომზადების მწვრთნელის ასისტენტი

ირაკლი ჭყონია
დავით ნემსაძე

ფიზ.მომზადების მწვრთნელის ასისტენტი (რეაბილიტოლოგი) ვილიამ ლევისი
სპორტის მეცნიერების სპეციალისტი
ვიდეოანალიტიკოსი

ნიკოლოზ პინაიშვილი
დავით რამიშვილი

სამედიცინო ჯგუფი / მენეჯერები

სამედიცინო სამსახურის უფროსი / ნაკრების ექიმი
ექიმი / ოსტეოპატი
ფიზიოთერაპევტი
მასაჟისტი
გუნდის მენეჯერი
გუნდის მენეჯერის ასისტენტი

ნუცა შამათავა
ედ ბარი
მოწვევით
აბესალომ აბრამიშვილი
ვასილ აბაშიძე
ალექსი იორდანაშვილი

კავშირის პრეზიდენტს დაევალა ეროვნული ნაკრების / ფრანჩიზის სამწვრთნელო შტაბთან შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების უზრუნველყოფა. ხელშეკრულებების მოქმედების ვადად განისაზღვროს პერიოდი 2023 წლის ბოლომდე; გაკეთდეს დათქმა მასზე, რომ 2022 წლის ნოემბრის ბოლომდე მოხდება ეროვნული ნაკრების და ფრანჩიზის სამწვრთნელო შტაბის წევრთა მიღწევების და შესრულების ინდიკატორების გადახედვა/შეფასება და 2023 წლის მიზნების განსაზღვრა ან შესაბამის თანამშრომელთან შრომითი ხელშეკრულების 2023 წელს გაგრძელების საკითხის განხილვა.

ხელმოწერები:

- მერაბ ანთაძე _____
- კობა გიორგაძე _____
- მამუკა გორგოძე _____
- ზვიად თავართქილაძე _____
- დავით კაჭარავა _____
- იოსებ ტყემალაძე _____
- გრიგოლ ქერაშვილი _____

- გელა ქობულაძე _____
- გივი ჭიჭინაძე _____
- ალექსანდრე ხვედელიძე _____